

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 20 სექტემბრის
დადგენილება № 311

„სტუდენტთა აკადემიური მოსწრების
მონიტორინგის ელექტრონული სისტემის“
შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მოწონებული იქნას „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა“ და დაინერგოს სასწავლო პროცესში 2010/2011 სასწავლო წლიდან;
2. „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის“ უწყისის შევსებისას უპასუხისმგებლობის/უყურადღებობის გამო დაშვებულ შეცდომებზე რეაგირების მიზნით სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა მიმართ შემოღებულ იქნეს შემდეგი ადმინისტრაციული ღონისძიებები:
 - ა) ორი შემთხვევისას- მითითება;
 - ბ) სამი შემთხვევისას- გაფრთხილება;
 - გ) ოთხი შემთხვევისას- საყვედური;
 - დ) ხუთი შემთხვევისას- სასტიკი საყვედური;
 - ე) ექვსი შემთხვევისას- სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით;
 - ვ) შვიდი შემთხვევისას-დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება;ს
3. შემოღებული ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარება გათვალისწინებულ იქნეს აღნიშნული სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფაში (ლ. იმნაიშვილი)
4. გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე